**შპს ქართული ცემენტი**

**2025 წლის იმერეთის რეგიონის ნაყარი ცემენტის მოცულობა და სადილერო ფასი**

1. სადილერო ფასის გავრცელება შესაძლებელია, თუ აპლიკანტი კომპანია მზად არის წლის განმავლობაში გარანტირებული რაოდენობის შესაძენად.
2. გასაყიდი ცემენტის წლიური მოცულობის, სადილერო ფასის და ფინანსური პირობების მიწოდება მოხდება მხოლოდ დაინტერესებული კომპანიებისთვის ელ. ფოსტის მეშვეობით. (დეტალებისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ თენგიზ მარგველაშვილს. ტელეფონი +995 577 998632)
3. რაოდენობრივი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დილერ კომპანიას ეკისრება ფინანსური სანქცია (საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი). საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მთლიანად უნდა მოიცავდეს სახელშეკრულებო პერიოდს. ქონებრივი უზრუნველყოფა არ მიიღება გარანტიად.
4. სადილერო ფასი არ გავრცელდება კომპანიებზე, რომლებიც ამჟამად აწვდიან შპს ქართულ ცემენტს გარკვეული სახის მომსახურებას ან პროდუქტს.
5. ხელშეკრულება ძალაში შევა 2025 წლის 1 თებერვლიდან და იმოქმედებს 2026 წლის 1 თებერვლამდე (12 თვე).
6. დაინტერესებულმა კომპანიამ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
    1. შევსებული სააპლიკაციო ფორმა
    2. კომპანიის სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (განახლებული)
    3. 2021 - 2024 წლების საბალანსო ანგარიშგება, მოგება-ზარალის ანგარიშგება, გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
    4. ანგარიშზე თავისუფალი საბრუნავი საშუალებები რომელიც მიმართული იქნება აღნიშნული საქმიანობის დასაფინანსებლად
    5. პოტენციური მომხმარებლების სია (იმერეთის რეგიონის ქალაქების მიხედვით)
    6. კონკრეტული რეგიონის ბაზრის და არსებული/პოტენციური კონკურენტების მოკლე ანალიზი: სავალდებულო რაოდენობების განაწილება პოტენციურ კლიენტებზე.
7. დამატებითი დეტალები განხილული იქნება წინასწარ შერჩეულ კანდიდატებთან
8. დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას 2025 წლის 20 იანვრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. #21; თენგიზ მარგველაშვილის სახელზე, კანცელარიაში.

კითხვების შემთხვევაში გთხოვთ დაუკავშირდით თენგიზ მარგველაშვილს. ტელეფონი +995 577 998632